მერის მრჩეველთა საბჭოს სხდომის

ოქმი #1

21 მაისი 2021 წ.

ქ. თერჯოლა

13:00 სთ.

2021 წლის 21 მაისს გაიმართა ქალაქ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთა საბჭოს პირველი სხდომა, რომელსაც ესწრებოდა საბჭოს 8 წევრი: **ლაშა გოგიაშვილი** - თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი; **ივანე მარუაშვილი** - მერის თანაშემწე; **სოფიო ბუსკივაძე** - ექიმი; **ელისო მურადაშვილი** - სკოლის დირექტორი, მეწარმე; **ლია ჩხიკვაძე** - სკოლის დირექტორი; **ნიკა კახიძე** - სს „თბს"-ის ბანკის თანამშრომელი; **ალექსი ცქიფურიშვილი** - ადგილობრივი ბიზნესმენი; **ზურაბ აბესაძე** - სტუდენტი; **მევლუდ გეწაძე** - ბიზნესმენი; **ირაკლი კუბლაშვილი** - ბიზნესმენი.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა საბჭოს 10 (ათი) წევრის დასწრებით.

დღის წესრიგი:

1. მისალმება;
2. საბჭოს წევრების გაცნობა;
3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის და მდივნის არჩევა;

კომისიამ კენჭი უყარა დღის წესრიგს და ერთხმად დაამტკიცა.

საბჭოს სხდომა გახსნა და წევრებს სიტყვით მიმართა ბ-ნმა ლაშა გოგიაშვილმა, რომელმაც ყურადღება გაამახვილა საბჭოს საქმიანობასა და მისი მუშაობის პრინციპებზე, რის შემდეგაც საბჭოს სხდომა გაგრძელდა დღის წესრიგით გათვალისწინებული გეგმის მიხედვით. საბჭოს დამსწრე წევრებმა წარმოადგინეს საკუთარი თავი და ისაუბრეს საკუთარი გამოცდილებების შესახებ.

მომხსენებელმა საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ საჭიროა მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის და მდივნის არჩევა. კენჭისყრის შედეგად მოხდა თავმჯდომარის და მდივნის არჩევა. საბჭოს წევრების აბსოლუტურმა უმრავლესობამ ერთხმად აირჩია თავმჯდომარედ ბატონი ლაშა გოგიაშვილი და მდივნის პოზიციაზე ივანე მარუაშვილი.

ოქმის სინამდვილეს ვადასტურებთ და ხელს ვაწერთ კომისია შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე:

კომისიის მდივანი: